

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №2

ქ. თბილისი

20.02.2020

სხდომას ესწრებოდნენ:

*უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო)
წევრები:*

ნუგზარ სხირტლაძე - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ვიცე - პრეზიდენტი, მათემატიკის
კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი - სხდომის თავმჯდომარე;
თამარ ლაღიძე - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის
სტუდენტი - საბჭოს მდივანი;
დავით ბოსტოლანაშვილი - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ხარისხის
უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
ნინო ინასარიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის
მიმართულების სპეციალისტი;
მაია მანწკავა - სსიპ - ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის
რეოლოგიისა და დიაგნოსტიკურ - ანალიტიკური სერვისების განყოფილების გამგე, მთავარი
მეცნიერ - თანამშრომელი;
იური მღებრიშვილი - საქართველოს ხელოვნების სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის
დირექტორის მოადგილე;
ირაკლი კობრიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე - რექტორი,
ონკოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
თამარ იოსელიანი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ -
საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი;
ირმა ჭანტურია - შპს „ღვინის ლაბორატორიის“ დირექტორი.

*სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი)
წარმომადგენლები:*

ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლალი გიორგიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის
სამმართველოს უფროსი;
გიორგი მუნჯიშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის
სამმართველოს კოორდინატორი;
ანა გვრიტიშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის
სამმართველოს კოორდინატორი.

წევრი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

მაკა ბერიძე - რექტორი;

მერაბ ბერიძე - პრორექტორი სამეცნიერო დარგში;

როინ თათეშვილი - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;

ნინო მილაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

ცისკარა ზარანდია - პროფესორი.

2. შპს ახალი უმაღლესი სასწავლებელი:

თამარ გარდაფხაძე - რექტორი;

ივანე სეხნიაშვილი - ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი;

თამარ კოპალეიშვილი - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;

ქეთევან კვიცარიძე - ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი;

ნათია გოგოლაური - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

მურად ფახურიძე - ინფრასტრუქტურული განვითარების სამსახურის უფროსი;

ნინო ჭითანავა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

დიანა მჭედლიშვილი;

ლელა იოსავა;

გიორგი მახარობლიშვილი;

ანა მიხელიძე.

სხვა დამსწრე პირები:

ქრისტინე გაბისონია - სტენოგრაფისტი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:11 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა უმრავლესობით არჩეულმა საბჭოს წევრმა ნუგზარ სხირტლაძემ. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

ნ. სოფიო

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
 2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
 3. შპს - ახალ უმაღლეს სასწავლებელში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.
- საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა დააყენა ცენტრის თანამშრომელმა გიორგი მუნჯიშვილმა. შუამდგომლობა ეხებოდა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის საკითხს. აღნიშნულთან დაკავშირებით ცენტრში 2020 წლის 10 თებერვალს შემოვიდა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის წერილი, რომლის თანახმადაც დაწესებულების ადმინისტრაციას დაგეგმილი ჰქონდა სამსახურებრივი მივლინება საზღვარგარეთ 2020 წლის 17 თებერვლიდან 21 თებერვლის ჩათვლით. შესაბამისად, წარმოდგენილი წერილით დაწესებულება შუამდგომლობდა, რომ დაწესებულების საკითხი საბჭოს გადაეტანა შემდეგი ნებისმიერი სხდომისთვის. ასევე, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, პანდელის იპსილანდისმა, სამსახურებრივ ელ. ფოსტაზე გამოაგზავნა წერილი, სადაც აღნიშნული, რომ იყო ჯგუფის თავმჯდომარე ვერ მოახერხებდა Skype-ით საბჭოს სხდომაზე ჩართვას 17:45 საათამდე, შესაბამისად შუამდგომლობდა, რომ სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხი პირველივე საკითხად არ განხილულიყო. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ არ იყო წინააღმდეგი ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი საკითხი გადადებულიყო შემდეგი სხდომისთვის და ასევე სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხი განხილულიყო მეორე საკითხად. აღნიშნული მოსაზრება ერთხმად გაიზიარეს საბჭოს სხვა წევრებმაც.
- შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შეცვლილი სხდომის დღის წესრიგის პროექტი:
1. შპს - ახალ უმაღლეს სასწავლებელში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
 2. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი დღის წესრიგი.

ბ. ლომიძე

1. შპს - ახალ უმაღლეს სასწავლებელში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება, წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. უსდ-ს წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ ექსპერტებს სთხოვა წარმოედგინათ მათი პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი მახარობლიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, საგამოცდო ნაშრომების შენახვის ვადა განისაზღვროს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №72 ბრძანების შესაბამისად.
- სასურველია, რომ უმაღლეს სასწავლებელში უცხოენოვანი სტუდენტებისთვის ქართულ ენაში მომზადები პროგრამა არსებობდეს იმ პროცედურებთან ერთად, რომელიც ქართული ენის არცოდნის შემთხვევაში სტუდენტის სამომავლო ქცევის მიმართულებას განსაზღვრავდა და ეს არ იყოს ადმინისტრაციის მხრიდან „რეკომენდაციაზე“ დამოკიდებული, რომელიც, თავისი შინაარსით, მკაფიოდ განსაზღვრულ კრიტერიუმებს არ მოიცავს.
- სასურველია, რომ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი დაიხვეწოს და მორგებულ იქნეს ინდივიდუალურად პროგრამის სწავლის შედეგებს, რაც შესაძლებლობას მისცემს დაწესებულებას ადეკვატურად შეაფასოს და აკონტროლოს სწავლის შედეგების მიღწევის მაჩვენებელი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მონიტორინგი განხორციელდა ცენტრში შემოსული წერილის საფუძველზე, რომლის შინაარსმა განსაზღვრა კონკრეტული მიმართულებები რა კონტექსტშიც უნდა განხორციელებინათ ვიზიტი. ექსპერტთა მონიტორინგის არეალი შეეხებოდა ავტორიზაციის მეორე სტანდარტს სრულად, მესამე სტანდარტის მესამე კომპონენტს და ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულებაში სწავლის შედეგების შეფასების პროცესი, ასევე მეხუთე სტანდარტი სრულად.

ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ვიზიტმა კონსტრუქციულ გარემოში ჩაიარა, ყველა საჭირო მოთხოვნილ დოკუმენტებზე მიეცათ წვდომა და დაამატა, რომ ექსპერტებმა დეტალურად გაიარეს დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვის პრინციპები, იქიდან გამომდინარე, რომ წერილის შინაარსი მიუთითებდა ექსპერტებს სტუდენტების შეფასებებში არათანაბარ მოპყრობასა და მიდგომაზე, ასევე ნახეს ორგანიზაციული სტრუქტურა რამდენად უზრუნველყოფდა სტუდენტებთან თანაბარი მოპყრობის პრინციპის რეალიზებას, გაიარეს ორგანიზაციულ მართვასთან დაკავშირებული დოკუმენტები, სტუდენტების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები, საგამოცდო ნაშრომის შენახვის წესები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ გადამოწმდა სტუდენტთა შეფასებები, რომლის დროსაც მონიტორინგის ჯგუფი გადააწყდა პრობლემას ნაშრომის შენახვის ვადებთან დაკავშირებით, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31

მარტის №72 ბრძანების შესაბამისად. დაწესებულებას შენახვის ვადად განსაზღვრული ჰქონდა არა ნაკლებ 6 თვე და მონიტორინგის დროს სტუდენტების ნაშრომები იყო განადგურებული, შესაბამისად მონიტორინგის ერთ-ერთი ამოცანა ვერ განხორციელდა სრულყოფილად და გასცეს შესაბამისი რეკომენდაცია ორგანიზაციული დოკუმენტების მოსაწესრიგებლად და იუსტიციის მინისტრის ბრძანებასთან თანხვედრაში მოსაყვანად.

ექსპერტთა ჯგუფის შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის არ არსებობას. ინსტიტუციამ გასაგებად აღწერა ის პროცესები, რომლის საშუალებითაც არაქართულენოვან სტუდენტებს უწევდნენ დახმარებას ქართული ენის სწავლაში, თუმცა დაწესებულებას ჰქონდა მხოლოდ სასერთიფიკატო პროგრამა და არა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფდა B2 დონეზე ქართული ენის ათვისებას. ასევე, გიორგი მახარობლიშვილის თქმით, ზოგიერთმა სტუდენტმა ქართული ენის ბარიერის გამო, მიიღო რეკომენდაცია უნივერსიტეტიდან, რომ გამოეყენებინა მობილობის უფლება და გადასულიყო სხვა სასწავლებელში. შესაბამისად, რეკომენდაცია ეხებოდა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის არსებობას და აქვე დასძინა რომ ეს გარკვეულწილად იყო დაწესებულებაში რამდენიმე თვის წინ განხორციელებული საავტორიზაციო ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის ერთ-ერთი რეკომენდაციის გაგრძელება.

აგრეთვე, რეკომენდაციაში ექსპერტები უთითებდნენ, რომ სასურველი იყო დაწესებულებაში ყოფილიყო გაწერილი პროცედურა, თუ რომელი ძირითადი საგნის დაუძლეველობის და რამდენჯერ დაუძლეველობის დროს, რა შედეგი მოჰყვებოდა, ჩამოყალიბებულიყო შესაბამისი მკაფიო კრიტერიუმები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, მომდევნო რეკომენდაცია ეხებოდა 3.3 კომპონენტს, კერძოდ სწავლის შედეგების შეფასებას. რეკომენდაციის თანახმად საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი ნათლად უნდა ყოფილიყო გაწერილი. ექსპერტებმა ნახეს მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამის შედეგებზე გასვლა ნახეს მხოლოდ სილაბუსის საშუალებით, რომელშიც მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის მე-3 ბრძანების შინაარსი გაზიარებული იყო, მას აკმაყოფილებდა, თუმცა სასურველი იყო, ოდნავ უფრო ფართოდ ჰქონოდათ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების გაზომვის შესაძლებლობა. ექსპერტის თქმით, საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო ნაწილების გაზომვის შედეგად უნდა დაედასტურებინათ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგის მიღწევა - მიუღწევლობის შინაარსი. შესაბამისად, რეკომენდაცია ეხებოდა, არა მხოლოდ მინისტრის მესამე ბრძანების ელემენტების გაზიარებას, არამედ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მექანიზმების გაწერას, რომელიც სჭირდებოდა კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამებს, მისი თქმით, არცერთ საგანმანათლებლო პროგრამაში არ იყო აღნიშნული გაწერილი. რაც შეეხება დასკვნის მეხუთე სტანდარტთან შესაბამისობას, ექსპერტთა მოსაზრებით, სრულ შესაბამისობაში იყო ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებთან.

სხდომის თავმჯდომარე, ნუგზარ სხირტლაძე დაინტერესდა რა ნაშრომები უნდა შეემოწმებინათ ექსპერტებს, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ საუბარი იყო ძირითადი გამოცდის, შუალედური გამოცდის ნაშრომის ნახვაზე, რადგან წერილის შინაარსის ერთ-ერთი შტრიხი გადიოდა სტუდენტთათვის არათანაბარი შეფასების მექანიზმის არსებობაზე, რომელიც ამ მოცემულობაში ვერ ნახეს.

წ. მორჩილაძე

სხდომის თავმჯდომარე ასევე დაინტერესდა ექსპერტების მოსაზრებით ქართულის ენის B1 დონის სერტიფიკატზე, რადგან როგორც ჩანდა ექსპერტთა მოსაზრებით ეს არ იყო საკმარისი ლექციების მოსასმენად. გიორგი მახაროზლიშვილმა სხდომის თავმჯდომარეს უპასუხა, რომ ასეთი სტუდენტები იყვნენ ეთნიკურად არაქართველები, საქართველოს მოქალაქეები, გასაუბრებისას დადასტურდა, რომ ენის ბარიერის არსებობის შემთხვევაში, სტუდენტებს ეძლეოდათ რეკომენდაცია მობილობით გადასვლასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარე ჩაეკითხა ექსპერტს, თუ როგორ მოხდა აღნიშნული სტუდენტების ჩარიცხვა, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ ჩარიცხვა მოხდა ტესტირების საფუძველზე. ექსპერტმა, ანა მიხელიძემ დაამატა, რომ სტუდენტებთან ინტერვიუებაზე გამოვლინდა, რომ ისინი თავისუფლად საუბრობდნენ ქართულად, თუმცა იყვნენ მათ ჯგუფში ისეთი სტუდენტები, რომლებსაც სასწავლო მასალის დაძლევა უჭირდათ. რაც შეეხოდა მათ ჩარიცხვას, ისინი იყვნენ საქართველოს მოქალაქეები და ჩარიცხვა მოხდა ერთიანი ეროვნული გამოცდებით, სადაც ჩააბარეს შესაბამისი საგანი. ასევე, მისი თქმით, ვიზიტის დროისთვის უნივერსიტეტს უცხოელი სტუდენტები არ ჰყავდა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაამატა, რომ ცენტრში შემოსული წერილის შინაარსი ეხებოდა საერთაშორისო სტუდენტებს, რომლებიც უნივერსიტეტს ვიზიტის დროს არ ჰყავდა. მათ გასაუბრებისას იკითხეს გავლილი პერიოდში რა ხდებოდა ენის დაუძლეველობის დროს, რაზეც ადმინისტრაციისგან მიიღეს პასუხი, რომ ხდებოდა რეკომენდაციის გაცემა სხვა სასწავლებელში გადასვლასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაეზუსტებინათ ექსპერტებს, როგორც მან გაიგო ექსპერტების აზრი, საგნების შეფასებების ჯამი არ იძლეოდა საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შესაძლებლობას, სწორად მიხვდა თუ არა ის მათ პოზიციას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ საგანთა შეფასების შედეგი უნდა იკითხებოდეს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ბადაში, იმისათვის, რომ მას როგორც ექსპერტს ჰქონოდა გაზომვის შესაძლებლობა კონკრეტულ საგანში ქვიზის, ტესტის, კაზუსის დადებითი შეფასების, მინიმალური ზღვრის გადალახვა მისცემდა თუ არა საგანმანათლებლო პროგრამის იმ სწავლის შედეგზე გასვლის შესაძლებლობას, რომელიც მას წინასწარ ჰქონდა ამ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული, უნდა ყოფილიყო მიმართება კონკრეტულ სწავლის შედეგთან. მისი თქმით, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმში არსებობდა პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდები, არაპირდაპირი შეფასების მექანიზმი, რომელსაც დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებდა იყო ინსტიტუციის მიერ განხორციელებული საქმიანობის, საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით, კურსდამთავრებულთა, აკადემიური, მოწველი პერსონალის, სტუდენტთა, სტუდენტთა კმაყოფილების კითხვარების ფორმით შემოწმება, ხოლო პირდაპირი შემოწმების მექანიზმი იყო ძირითადი სასწავლო კურსები, რითაც ხდებოდა საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტულ სწავლის შედეგზე გასვლა და აქედან გამომდინარე, სამიზნე ნიშნულების დასახვა, რომელიც უნდა შეემოწმებინა ინსტიტუციასა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. წარმოდგენილ დოკუმენტებში ამდაგვარი დოკუმენტის ნახვა შესაძლებელი იყო, თუმცა ექსპერტები აკეთებდნენ აქცენტს პირდაპირი შეფასების მექანიზმის არ არსებობაზე, დროში გაწერილ დადგენილ ვადებში შემოწმებასა და ანგარიშზე.

E. Imanidze

საბჭოს წევრმა, ირაკლი კობხრიძემ ამოიკითხა ექსპერტთა დასკვნიდან, რომ საერთაშორისო სამსახურის თანამშრომელმა ვერ დაასახელა, რა თანხა გამოუყო დაწესებულებამ სტუდენტს თანადაფინანსებაზე, სტუდენტები ვერ ასახელებდნენ ორგანიზაციებს სადაც გაიარეს პრაქტიკა. პასუხად ექსპერტმა განმარტა, რომ გასაუბრებისას კითხვა დაისვა ინტერნაციონალიზაციაზე, სადაც საერთაშორისო სამსახურმა ვერ დაასახელა რა თანხა იყო გამოყოფილი დაფინანსებაზე, რაც შეეხება კვიპროსიდან ჩამოსული სტუდენტების კმაყოფილებას, დაწესებულება ცდილობდა სტუდენტების წახალისებას ყველა მიმართულებით: გაცვლითი პროგრამების, კონფერენციების დაფინანსებით, გარკვეული კონკურსის შემდეგ სადმე გაშვებით, რომლის ერთ-ერთი მაგალითი იყო კვიპროსში სტუდენტების გაშვება. რაც შეეხება პრაქტიკის გასავლელი ინსტიტუციების არ ცოდნას, სტუდენტებს არ ახსოვდათ სად გაიარეს პრაქტიკები, თუმცა ახსოვდათ პრაქტიკის პერიოდში რა საქმიანობა განახორციელეს, რამდენიმე კურსდამთავრებული თავად იყო დამსაქმებელი.

საბჭოს წევრი, მაია მანწკავა დაინტერესდა ფაკულტეტების მიხედვით თუ გამოიკვეთა სტუდენტების კმაყოფილების ტენდენცია თუ ყველა მიმართულების სტუდენტები იყვნენ კმაყოფილი დაწესებულების ხელშეწყობის მექანიზმებით და სთხოვა ექსპერტს უფრო დეტალური ინფორმაცია მიეწოდებინათ აღნიშნულთან დაკავშირებით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს ჯგუფი შეხვდა 6-7 სტუდენტს, სხვადასხვა ფაკულტეტის წარმომადგენლებს, რომლებიც ინტერვიუს მიხედვით ყველაფრით კმაყოფილები იყვნენ, უნივერსიტეტის მხარდაჭერით, კარიერული წინსვლით, ცხრილით, რადგან სტუდენტები თან მუშაობდნენ და თან სწავლობენ, რამდენიმე მათგანი იყო გადმოსული და გადმოსვლის მიზეზად დაასახელეს მათი მეგობრებისგან მიღებული ინფორმაცია, რომ მათ ამ დაწესებულებისგან ჰქონდათ ხელშეწყობა. რაც შეეხება ინტერნაციონალიზაციას და გაცვლით პროგრამებს, როგორც ადმინისტრაციამ აღნიშნა, უნივერსიტეტი მუშაობდა ამ კუთხით და ინსტიტუციას საზღვარგარეთ რამდენიმე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ჰქონდა მემორანდუმი, სადაც აგზავნიდნენ სტუდენტებს, თუმცა აპირებდნენ გაფართოებას.

დაწესებულების რექტორმა, თამარ გარდაფხაძემ აღნიშნა, რომ ავტორიზაციის საბჭომ დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილება 2019 წლის 27 სექტემბერს მიიღო, ხოლო იმავე წლის 26 სექტემბერს ცენტრში შემოვიდა სწორედ მონიტორინგის საფუძველად დადებული წერილი, თუმცა განმცხადებელი მათთვის ჯერ კიდევ უცნობი იყო.

წარმოდგენილ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, დაწესებულების რექტორმა თამარ გარდაფხაძემ აღნიშნა, რომ საგამოცდო ნაშრომების შენახვის პროცედურა საქმისწარმოების ერთიან წესში გაწერილი ჰქონდათ, სადაც აღნიშნული იყო, რომ მათ შეემოლოთ არანაკლებ 6 თვის შემდეგ საგამოცდო ნაშრომების განადგურება. დამატებით აღნიშნა, რომ 2018 წლიდან, როდესაც შეიცვალა უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიღების საკითხი, იმავე წლის სექტემბრიდან არცერთი საერთაშორისო სტუდენტი დაწესებულებას აღარ მიუღია, შესაბამისად 2019 წელს იანვარში, როდესაც დაწესებულებაში პირველი მონიტორინგი განხორციელდა, დაწესებულებაში აღარ ირიცხებოდა არცერთი უცხოელი სტუდენტი არც აქტიური და არც შეჩერებული სტატუსით. თამარ გარდაფხაძემ განმარტა, რომ საერთაშორისო სტუდენტების ნაწილის ჩარიცხვა ხდებოდა ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე, ნაწილის კი, მინისტრის ბრძანებით, თუმცა თუ 1 წლის ვადაში ისინი ვერ დაუფლებოდნენ ქართულ ენას, არ ხდებოდა მათი საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა.

ნ. სოლომონი

დაწესებულების რექტორმა ასევე აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მათი ჩარიცხვა ხდებოდა არამართო ქართული ენის შესწავლით, რომელიც უფასო იყო, არამედ შიდა გამოცდების ჩაბარების საფუძველზე, მაინც უჭირდათ საგანმანათლებლო პროგრამის დამლევა. აქედან გამომდინარე დაწესებულებამ ასეთ სტუდენტებს მისცა რეკომენდაცია გადასულიყვნენ სხვა დაწესებულებებში, რომლებსაც ჰქონდათ შესაბამის ენებზე პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. რაც შეეხებოდა ნაშრომებს, საერთაშორისო სტუდენტებმა ერთი წლის წინ დაწერეს გამოცდა, შესაბამისად ნაშრომები მათი წესის შესაბამისად უკვე განადგურებული იყო, ხოლო ქართულენოვანი სტუდენტების ნაწერები ცენტრის წარმომადგენელმა ექსპერტების მოთხოვნით გამოითხოვა და უნივერსიტეტის წარმომადგენლის მიერ ერთი საგნის ქართულენოვანი ჯგუფის დასკანერებული შუალედურების ნაწერები გადაგზავნილი იქნა ვიზიტის შემდეგ. მისი თქმით, მათ გაითვალისწინეს პირველი რეკომენდაცია და აპელაციის შედეგების გამოქვეყნებიდან 3 წელი განსაზღვრეს ნაშრომის განადგურების ვადად და ეს ინფორმაცია ვებ-გვერდზეც უკვე ატვირთული იყო, თუმცა აქვე აღნიშნა, რომ სასურველი იყო ექსპერტებს რეკომენდაციის შემუშავებისას დაეკონკრეტებინათ კონკრეტული პუნქტი და არა სრულიად საქმისწარმოების წესი და ასევე ეს აღნიშნული იყო არგუმენტირებულ პოზიციაში, თუმცა ექსპერტებმა აღნიშნული არ გაითვალისწინეს და ასევე დასძინა, რომ იმავე რეკომენდაციის შედეგად სხვა დაწესებულების შემთხვევაში ექსპერტებმა დაწესებულება მეტწილად შეაფასეს, ხოლო აქ შეფასება იყო ნაწილობრივი.

სხდომის თავმჯდომარემ, ნუგზარ სხირტლაძემ დააზუსტა ექსპერტთა პოზიცია და აღნიშნა, რომ არ ჩანდა უნივერსიტეტმა შედეგები როგორ გაზომა, რაზეც დაწესებულების რექტორმა აღნიშნა, რომ შედეგი გამომდინარეობდა უწყისებიდან, როდესაც სტუდენტი 6 საგნიდან 4-ს ვერ აბარებდა. მისი თქმით, მათ კვლევები ჰქონდათ შეკვეთილი ერთ-ერთი კვლევითი ცენტრისთვის ლექტორთა და სტუდენტთა კმაყოფილებაზე და სწავლის შედეგებზე გასვლაზე. კვლევის თანახმად, ჩანდა, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქე დაახლოებით 80-მდე სტუდენტს ბოლომდე უჭირდა სწავლის შედეგებზე ბოლომდე გასვლა. დაწესებულების რექტორმა ასევე დასძინა, რომ დაწესებულების ინტერესს არ წარმოადგენდა სტუდენტების საფასურის გადახდა იმის ფარგლებში, როცა ვერ მოახერხებდნენ საგნების ჩაბარებას და ვერ მოახერხებდნენ დიპლომის აღებას.

საბჭოს წევრმა, თამარ იოსელიანმა დატოვა სხდომა 16:50 საათზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ თუ მათ არ ჰქონდათ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, ეს არ წარმოადგენდა დარღვევას, თუმცა მათ ავტორიზაციამდე სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში შეიტანეს ცვლილება, სადაც მოთხოვნებში ეწერა გასაუბრება, გამოცდის ჩაბარება და B2 დონის სახელმწიფოს მიერ გაცემული სერტიფიკატი. დაწესებულების წარმომადგენელმა სწავლის შედეგებთან დაკავშირებით დაამატა, რომ შედეგების შეფასება და გაზომვა სამმა აკრედიტაციის ჯგუფმა შეაფასა 2019 წელს, მათ შორის ორმა ჯგუფმა სრული შესაბამისობით და ერთმა მეტწილად შესაბამისად. სწავლის შედეგების რუკასთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ ირიბი, პირდაპირი, სწავლის შედეგების კურიკულუმის რუკაში ყველა საგანი რა შედეგზე გადის, 8 - ვე შედეგი გაწერილია, 2 ახალი აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები კი ჯერ არ არის.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები აბსოლუტურად განსხვავებული იყო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების ბადისგან, კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაში საგნების

Handwritten signature

ჩამონათვალის და შედეგების ჩამონათვალის ურთიერთმიმართება არ იყო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის არსებობა.

საბჭოს წევრი, ნინო ინასარიძე დაინტერესდა სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, ინტერვიუების დროს ესმოდათ და აცნობიერებდნენ თუ არა სტუდენტები შეკითხვას. ექსპერტის თქმით, სტუდენტები საერთო შთაბეჭდილებით იყვნენ კმაყოფილები, მათ შორის ტერიტორიული ადგილმდებარეობით, რომელიც შეიცვალა, ასევე ასახელებდნენ უნივერსიტეტის მხრიდან მხარდაჭერას.

საბჭოს წევრი, იური მღებრიშვილი დაინტერესდა თუ გაეცნენ ექსპერტები ირიბ კვლევებს და დიაგრამებს. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ წარმოდგენილი იყო სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანგარიშები, შედეგების ანალიზი არა.

საბჭოს წევრმა, იური მღებრიშვილმა აღნიშნა, რომ ის გაეცნო დაწესებულების ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ მონაცემებს, სადაც ბევრი კითხვა ჩნდებოდა, იმასთან დაკავშირებით თუ რა შესაბამისობაში იყო სწავლის პროცესი, სტრუქტურა და სტუდენტის რეაგირება ამ ყველაფერზე. მაგალითად, ერთ-ერთი კითხვა იყო სტუდენტების კმაყოფილებაზე სასწავლო პროცესის ორგანიზებით, სადაც 100%-იანი კმაყოფილება დაფიქსირდა, ხოლო სადიპლომო ნაშრომის თემის კმაყოფილებასთან დაკავშირებით არ ცოდნის მაჩვენებელი იყო საკმაოდ მაღალი და წარმოადგენდა 45-55 პროცენტს. ეს მაჩვენებელი საბჭოს მოსაზრებით ნიშნავდა იმას, რომ სტუდენტი არ იყო ჩართული პროცესებში. უცხოენოვან სტუდენტებთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ გასაუბრება უნდა ყოფილიყო სფეროს შესაბამისი, ანუ რა კუთხითაც აზარებდნენ სტუდენტები უსდ-ში. საბჭოს წევრი დაინტერესდა იმითაც, რატომ არ იფიქრა დაწესებულებამ უცხოელი სტუდენტებისთვის შეექმნათ რაიმე ისეთი პროგრამები, რომ გაძლიერებულიყო უნივერსიტეტი და არ მიეცათ სხვა დაწესებულებაში გადასვლის რეკომენდაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრს უპასუხა, რომ ოთხმოცივე საერთაშორისო სტუდენტი სხვაგან არ გადასულა, 20-25-მა პროცენტმა დაამთავრა მათი უნივერსიტეტი, საუბარი იყო იმ კატეგორიის სტუდენტებზე, რომლებიც სასწავლო კურსებში იჭრებოდნენ და სადაც არ იყო მხოლოდ ენის პრობლემა. ასევე, აღნიშნა, რომ მათ 3 წლის წინ რუსულენოვან საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაზე უარი მიიღეს. რაც შეეხებოდა სტუდენტების კმაყოფილებას, დამატებით გამოცდებზე არ უწევდათ თანხის გადახდა, რადგან ისინი მაქსიმალურად ცდილობდნენ სტუდენტზე ორიენტირებას, ცდილობდნენ მოეზიდათ სტუდენტები.

საბჭოს წევრი, ირაკლი კოხრიძე დაინტერესდა რამდენი ჰქონდათ სტუდენტებს წლიური დაფინანსება, რაზეც უსდ-ს წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ბიუჯეტში წლიურად 20 000 ლარი ჰქონდათ გამოყოფილი. მაგალითად, სტუდენტს ბრატისლავაში გამოყოფილი ჰქონდა იქაური სწავლის საფასურის ნახევარი, კვებასა და საცხოვრებელს კი თვითონ ბრატისლავას უნივერსიტეტი ანაზღაურებდა, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, სტუდენტი დაფინანსდა დაახლოებით, 800 ევროს ექვივალენტით ლარში. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ისინი აპირებდნენ ერასმუს+ პროგრამაში ჩართვას და სრული დაფინანსებები ექნებოდათ მაისიდან.

საბჭოს წევრმა, მაია მანწკავამ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს, როგორ ფიქრობდა ის რა იყო ამ წერილის ჩამრთველი მექანიზმი, რაზეც მან უპასუხა, რომ 7 წელი იყო რაც

ბ. სოლომონი

უნივერსიტეტი არსებობდა, თვითონ 6 – 7 უნივერსიტეტში ჰქონდა ნამუშევარი და არ ყოფილა შემთხვევა არცერთი აკადემიური, მოწვეული პერსონალის, სტუდენტის გადინებისა უსდ - დან პირადი განცხადებით ან საჩივრით, 7 წლის განმავლობაში თითოეულ მობილობაზე ყველა სემესტრში უნივერსიტეტში გადმოდიოდნენ სტუდენტები და ივსებოდა ვაკანტური ადგილების 90%, 45 სტუდენტი გადმოდიოდა და გადადიოდა 2 სტუდენტი, რაზეც ასევე, აკეთებდნენ კვლევას თუ რატომ მოხდა იმ 2 სტუდენტის გადინება. დაწესებულების წარმომადგენელმა გაიხსენა, რომ 1 კვირით ადრე მასთან განხორციელდა ანონიმური ზარი, რომელმაც იკითხა თუ ვინ იყო დაწესებულების რექტორი, გამოძიებას ეს ინფორმაცია აქვს, თუმცა მას პირადად აქვს ეჭვი, რომ ეს წერილი საერთოდ არ ეხებოდათ მათ, რადგან განმცხადებლის სახელითა და გვარით სტუდენტები იყვნენ რამდენიმე სხვა უნივერსიტეტში.

საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა: 17:11 საათზე.
საბჭოს სხდომა განახლდა: 17:30 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ახალი უმაღლესი სასწავლებლისთვის დაფიქსირებული ხარვეზების გამოსასწორებლად 60 დღიანი ვადის მიცემის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 88-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, შპს ახალი უმაღლესი სასწავლებელს (ს/კ:404916203) დაფიქსირებული ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 60 დღის ვადა.

ნ. ლომიძე

2. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საკითხის განხილვა დაიწყო 17:45 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ, ნუგზარ სხირტლაძემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება, წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საავტორიზაციო განაცხადს, დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციასა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

ექსპერტმა დიანა მჭედლიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 2019 წლის 17-19 დეკემბერს, ქ. ახალციხესა და ქ. ახალქალაქში, რომელმაც ჩაიარა თანამშრომლობით გარემოში, ექსპერტებს მიეწოდათ ყველა საჭირო დოკუმენტაცია. რაც შეეხებოდა უსდ-ს როლს ქვეყნის განვითარებაში, ექსპერტის თქმით, ის დაარსებული იყო 1990 წელს, პირველ ეტაპზე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალი, რეორგანიზაციის შედეგად კი მიიერთა ჯავახეთის ფილიალი, დაწესებულებამ 2014 წელს გაიარა ავტორიზაცია, სადაც მიიღო უნივერსიტეტის სტატუსი, მანამდე დაწესებულება ფუნქციონირებდა სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსით. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, ამ რეგიონში აღნიშნული უნივერსიტეტის არსებობა მნიშვნელოვანი იყო ეთნიკური უმცირესობების ინტეგრირებისათვის, ქართული ენის შესწავლისთვის და ქართული ეროვნულობის გაზარებისათვის. მან აღნიშნა, რომ 4+1 სწავლება - ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა საწყისებს იღებდა სწორედ ამ უნივერსიტეტიდან, მათ ნახეს არაქართველი მოსახლეობა, რომლებიც კარგად ფლობდნენ ქართულ ენას და ჰქონდათ მისი შესწავლის სურვილი. ექსპერტის თქმით, აღსანიშნავი იყო ისიც, რომ უსდ იყო მუდმივად განვითარებადი, მუშაობდა ხარისხის ამაღლებაზე, ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა გარკვეული რეკომენდაციები.

ცენტრის თანამშრომელმა Skype-ის საშუალებით ჩართო ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, რომელმაც საბჭოს წევრებს წარუდგინა ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სამოქმედო გეგმის ყველა ელემენტი უნდა იყოს დაკავშირებული ბიუჯეტის კონკრეტულ თანხებთან, ადამიანურ რესურსებთან და მატერიალურ მოთხოვნებთან, რათა ხელი შეეწყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესებს მონიტორინგში, პრიორიტეტულ საქმიანობებსა და სამომავლო ცვლილებებში.
- ინდიკატორები, საჭიროების შემთხვევაში, უნდა უკავშირდებოდეს მიზნებს (სამიზნე ნიშნულებს).
- ფაკულტეტები უფრო მეტად უნდა უკავშირდებოდნენ სტრატეგიულ გეგმას განსაკუთრებით იმ ნაწილში, რომელიც მათ განვითარებას ეხება.
- უნივერსიტეტი განიხილავს ადმინისტრაციული ერთეულების რესტრუქტურირებას, ამიტომ მან უნდა უზრუნველყოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული

ნ. სურგულაძე

განვითარების ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულების შექმნა, რადგან ეს ორი სფერო უნივერსიტეტის სტრატეგიულ პრიორიტეტებს ეხება. ამ ორი განყოფილების ფუნქციები განსხვავებულია და სხვადასხვა უნარებს მოითხოვს. საერთაშორისო ურთიერთობების, სტრატეგიული განვითარების და საზოგადოებასთან ურთიერთობის ერთი ოფისის შექმნის ამჟამინდელი გეგმა არ შეიძლება ემსახურობდეს უნივერსიტეტის მიზნებს.

- დაიწყეთ მოწვეული პერსონალისა და დოქტორანტების შერჩევა, რომლებიც კარგად ფლობენ ინგლისურ ენას, რათა გაიზარდოს უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის შანსი და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა.

- უზრუნველყავით, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეესტრში იყოს ზუსტი მონაცემები.

- უზრუნველყავით სასწავლო პროგრამების შეფასებისა და სრულყოფის პროცედურები ყველა ფუნქციური პროგრამისთვის.

- უზრუნველყავით, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა უფრო ეფექტურად ხორციელდებოდეს ფაკულტეტის დონეზე.

- უზრუნველყავით, რომ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშება იყოს ნათელი და გამჭვირვალე და ითვალისწინებდეს ინსტიტუტის მიერ დამტკიცებულ ინდიკატორებსა და სამიზნე ნიშნულებს.

- პროგრამების მუდმივი მონიტორინგი უნდა განხორციელდეს აკრედიტაციის მიმდინარეობის მიუხედავად, რათა მოხდეს შესაბამისი დარგების განვითარების შეფასება.

- შეადგინეთ წინაპირობები ბაკალავრიატის სტაჟირებისთვის, ჯგუფური პროექტებისთვის და სამაგისტრო პრაქტიკისთვის, რადგან ეს საქმიანობები ეხება წინარე სწავლის გამოყენებას.

- საჭიროების შემთხვევაში განაახლეთ სამაგისტრო დონის და სადოქტორო პროგრამების სტრუქტურა, რათა სტუდენტებმა გამოიმუშაონ შესაბამისი დონის უნარები, რომლებიც დაკავშირებულია სამეცნიერო წერასთან და კვლევის მეთოდოლოგიასთან.

- მოახდინეთ სწავლის შედეგების რესტრუქტურირება გარკვეულ პროგრამებში, რათა მოხდეს პროგრამის მთლიანი შედეგების (რომელთა მიღწევაც შეიძლება დამოწმდეს) აღწერა.

- კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე აუცილებელია მომავალი დოქტორებისათვის, რადგან ისინი, სავარაუდოდ, უნივერსიტეტის მასწავლებლებისა და მკვლევარების ახალი თაობა იქნებიან. უზრუნველყავით ამ პროგრამის სასწავლო შედეგების მიღწევა.

- უზრუნველყავით, რომ სტუდენტებს შეეძლოთ ელექტრონული პროცესის მართვის სისტემის გამოყენება. გახადეთ სისტემა უფრო ინფორმაციული და ეფექტური სწავლის გაუმჯობესებისა და სტუდენტების უკუკავშირისთვის.

- უზრუნველყავით, რომ ყველა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები იყოს მიღწევადი, რეალისტური და გაზომვადი.

- ყველა სასწავლო პროგრამაში განხორციელეთ სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია.

- უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს პასუხისმგებლობის მკაცრი სისტემა და განხორციელოს იგი. პასუხისმგებლობა უნდა შეამოწმოს კოლეგიურმა ორგანოებმა, მაგალითად, აკადემიურმა საბჭომ (და არა მხოლოდ რექტორმა და ადმინისტრაციის უფროსმა). აკადემიური პერსონალის შეფასება უნდა მოხდეს მათი აკადემიური საქმიანობის საფუძველზე. ყველა შიდა საგრანტო კონკურსი უნდა მოიცავდეს ანგარიშვალდებულებას და შეფასდეს უნივერსიტეტის მიერ.

- უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს გეგმა, რათა ახალი თაობის აკადემიკოსები ჩაერთონ სასწავლო და კვლევის პროცესში. ასევე უნდა დაეხმაროს მათ, რომ იყვნენ აკადემიური პერსონალის ნაწილი, რათა უზრუნველყოს უნივერსიტეტი საკმარისი რაოდენობის აკადემიკოსებით ზოგიერთი პროფესორის პენსიაზე გასვლის შემდეგ.

- უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს პერსონალის მობილობის, ადმინისტრაციული და

ნ. სიმონიძე

აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამები და წახალისოს მათი მონაწილეობა.

- უნივერსიტეტმა უნდა შექმნას აკადემიური პერსონალის დატვირთვის სათანადო მექანიზმი, განსაზღვროს აუდიტორული, კვლევითი და სხვა საქმიანობისთვის ზუსტი საათები. სამუშაო დატვირთვა უნდა მოიცავდეს კონკრეტულ ვალდებულებებსა და გაზომვად პასუხისმგებლობებს, რომლებიც უნდა შეასრულონ თანამშრომლებმა.
- აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩაატარეთ სათანადო ტრენინგები სასწავლო პლატფორმის Moodle- ის გამოყენებაში, რათა ის სრულად გამოიყენონ, როგორც ეფექტური დამხმარე მექანიზმი სასწავლო პროცესში და სტუდენტებთან კომუნიკაციაში.
- საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისგან დამოუკიდებლად უნდა შეიქმნას კარიერული განვითარების ოფისი, რომელიც დააკავშირებს დამსაქმებლებსა და უნივერსიტეტს, ჩაატარებს ტრენინგებს საჭირო უნარ-ჩვევებში სამუშაოს მაძიებლებისთვის და შესაბამის ღონისძიებებს, როგორიცაა „კარიერის დღეები“, „დამსაქმებელთა ფორუმები“ და ა.შ.
- გაზარდეთ ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამის ციკლი. გახანგრძლივებთ იგი ან პარალელურად გააგრძელებთ (კრედიტების გარეშე) პირველივე სემესტრის / წლის განმავლობაში რეგულარული სწავლის პირობებში. ეს ხელს შეუწყობს ასიმილაციასა და ინტეგრაციას აკადემიურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.
- მოახდინეთ დოქტორანტურის ხელმძღვანელობის წესების ფორმულირება და უზრუნველყავით, რომ ყველა ფაკულტეტის სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელი მათ დაემორჩილოს.
- მოახდინეთ უცხოელი ლექტორების ხელმძღვანელობის ან თანახელმძღვანელობისთვის წესების ფორმულირება. ხელი შეუწყეთ პროცესს და უზრუნველყავით, რომ დოქტორანტებმა მიაღწიონ ინგლისური ენის ცოდნის მაღალ დონეს, რაც მათ დაეხმარება მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო ფორუმებში.
- შეიმუშავეთ სისტემური და ოფიციალური მიდგომა კვლევის ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით.
- შექმენით თითოეული ძირითადი პასუხისმგებლობის სტრუქტურული ერთეული, მაგალითად, კვლევითი განყოფილება და საერთაშორისო ურთიერთობების ოფისი. მოიზიდეთ და მოამზადეთ ადამიანური რესურსები კვლევის დამხმარე განყოფილებისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ოფისისთვის.
- თითოეულ ფაკულტეტს / აკადემიურ განყოფილებას დაუნიშნეთ აკადემიური პერსონალი, დოქტორანტები და მკვლევარები, რათა მათ შეიმუშავონ ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო სააგენტოებისთვის კვლევითი წინადადებები.
- გააღრმავეთ თანამშრომლობა კვლევის განყოფილებას, საერთაშორისო ურთიერთობათა ოფისსა და ფაკულტეტებს შორის, რათა ახალგაზრდა მკვლევარები ჩაერთონ ევროკავშირის სამეცნიერო-კვლევით პროგრამებში.
- გაზარდეთ უნივერსიტეტის ბიუჯეტში კვლევის დაფინანსება.
- მოახდინეთ მონაცემთა შეგროვების სისტემატიზაცია და მონაცემთა ანალიზი; ჩართეთ ამ პროცესში კვლევის დამხმარე განყოფილება, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი და ფაკულტეტები.
- ხელახლა შეაფასეთ დატვირთვის სქემა და განუმარტეთ პერსონალს, თუ რა ფასდება.
- შეიმუშავეთ კვლევის დამხმარე განყოფილების პროდუქტიულობის შეფასების მექანიზმი.
- გამოიყენეთ შეფასების შედეგები სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხარისხის შემდგომი განვითარებისათვის.
- ახალციხის კამპუსში შეაკეთეთ საევაკუაციო გასასვლელი და ბილიკები, რათა დაცული იყოს უსაფრთხოების სტანდარტები.
- დაასრულეთ საჭირო აღჭურვილობის დაყენება ისე, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

ბ. ლომიძე

პირებს ჰქონდეთ წვდომა უნივერსიტეტის შენობებში არსებულ ყველა სართულსა და ადგილზე.

- განაახლეთ ახალქალაქის კამპუსში მე-3 კორპუსი, რათა მიღწეულ იქნას იგივე სტანდარტები, როგორიცაა ახალციხის კამპუსში.
- ბიბლიოთეკის მარაგში გადაამოწმეთ და უზრუნველყავით პროგრამების სასწავლო გეგმაში ჩამოთვლილი ყველა სახელმძღვანელო. პროცესის მონიტორინგი უნდა მოხდეს ყოველწლიურად.
- გააძლიერეთ სტუდენტებისა და პერსონალის ტრენინგები ელექტრონული მონაცემთა ბაზებისა და ჟურნალების გამოყენებაში. აუცილებელია თანამშრომლობა სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების დირექტორებსა და აკადემიურ პერსონალს შორის, რომლებიც ასწავლიან სამეცნიერო წერას.
- გააძლიერეთ სტუდენტებისა და პერსონალის ტრენინგები ელექტრონული მონაცემთა ბაზებისა და ჟურნალების გამოყენებაში. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების დირექტორებსა და აკადემიურ პერსონალს შორის თანამშრომლობა აუცილებელია სამეცნიერო წერის უნარის განვითარებისთვის.
- გამოიკვლიეთ და შეამოწმეთ მოსწავლეთა კმაყოფილება ელექტრონული სასწავლო პლატფორმის შესახებ და დააკმაყოფილეთ მათი მოლოდინები, რათა მათ ჰქონდეთ ამ პლატფორმის გამოყენების მოტივაცია.
- დარწმუნდით, რომ სასწავლო პროგრამების ძირითადი შინაარსი ატვირთულია ინგლისურ ენაზე.
- უზრუნველყავით, რომ ბიუჯეტში იყოს მკაფიო და გამჭვირვალე ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული მიზნების შესრულების, კვლევითი საქმიანობის წარმართვის, ადამიანური რესურსების განვითარების, ბიბლიოთეკისა და ინფრასტრუქტურის შესახებ.
- გაზარდეთ კვლევისა და სამეცნიერო საქმიანობისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, რეკომენდაციების წარდგენის შემდეგ გადავიდა დასკვნის ძირითად ნაწილის წარდგენაზე და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის მისია იყო ძალიან ნათელი და გამჭვირვალე, მნიშვნელოვანი იყო, რომ სოციალურ პარტნიორებს მხარი დაეჭირათ უნივერსიტეტისთვის, ასევე, მისიის გაზიარება უნდა მომხდარიყო არა მხოლოდ ადმინისტრაციის მიერ, არამედ უფრო ფართოდ აკადემიური საზოგადოების მიერ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის თქმით, ამ ეტაპზე ინსტიტუცია მიიჩნევდა, რომ კვლევა და ინტერნაციონალიზაცია უნდა ყოფილიყო მთავარი პრიორიტეტი, რისთვისაც ისინი აპირებდნენ ფოკუსირებას კვლევისა და ინტერნაციონალიზაციაზე. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევდა, რომ უნივერსიტეტი განვითარების სწორ გზაზე იდგა, ის ცდილობდა გაეჩინა ხარისხის სტრუქტურული ერთეულები, კარიერული მხარდაჭერის, კვლევების მხარდაჭერის მიმართულებით და ადმინისტრაციული გაუმჯობესების კუთხით, თუმცა კვლევის სიძლიერის და ინტერნაციონალიზაციის კუთხით, განვითარების დიდი გზა იყო გასავლელი, ინსტიტუცია გეგმავდა სადოქტორო სკოლის დაარსებას, რისთვისაც საჭირო იყო საკმარისი რაოდენობის პერსონალის არსებობა, რომელსაც ექნებოდა აკადემიური ხარისხი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მათ ინსტიტუციას ურჩიეს სტრატეგიული განვითარების გეგმაში გაითვალისწინონ ახალგაზრდა კადრების, მკვლევარების შემოღობვა და ამ მიმართულებით კვლევების განვითარება, ასევე, უფრო მეტი მჭიდრო კავშირის დამყარება რეგიონში არსებულ პარტნიორებთან, რადგან ამის გარეშე რთული იქნებოდა მიზნის მიღწევა. მისი თქმით, კვლევისა და ინტერნაციონალიზაციის განვითარებისათვის სპეციფიური გეგმის

სამოქმედო გეგმის არსებობა აუცილებელი იყო, ასევე სასწავლო საგანმანათლებლო პროგრამები, რომელიც ბოლო პერიოდში იყო აკრედიტებული, მათი გარკვეული რაოდენობა მოითხოვდა მოდიფიცირებას და განახლებას, რომ ისინი შესაბამისობაში ყოფილიყვნენ დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან და ეპასუხათ ხარისხის სტანდარტებისთვის.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის თქმით, ინსტიტუცია აკადემიურ პერსონალს სთავაზობდა გარკვეული წახალისების მექანიზმებს, იმისათვის, რომ მათ გამოექვეყნებინათ პუბლიკაციები კვლევით სამეცნიერო ჟურნალებში, თუმცა პერსონალის სამუშაო დატვირთვის გამოვლენისათვის კომპლექსურ მექანიზმს იყენებდნენ, შესაძლებელია უფრო მარტივი ინსტრუმენტი ყოფილიყო მიღებული. მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ უნივერსიტეტმა დიდი შრომა გასწია ქართული ენის სწავლების კურსის განხორციელების მიმართულებით, რომლებსაც სთავაზობენ ქართველ ენოვან სტუდენტებს, თუმცა საჭირო იყო მეტი სამუშაოს განხორციელება, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის, მათი მეტი მხარდაჭერა, რომელიც საჭირო იყო გაგრძელებულიყო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგაც.

რაც შეეხებოდა უსდ-ს ინფრასტრუქტურას, ის მისაღებ მდგომარეობაში იყო, იმისათვის, რომ განხორციელებულიყო სწავლება, თუმცა გაიცა რეკომენდაცია მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, რომ უსაფრთხოების, საავარიო გასასვლელები არსებულიყო, ასევე, მან აღნიშნა, რომ პროფესიული განათლების ცენტრის არსებობა იყო ძალიან კარგი მოვლენა.

საბჭოს წევრებმა მაღლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს მისი პრეზენტაციისათვის, რომელიც იყო სრულიად ამომწურავი და გასაგები.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებით ესაუბრათ უფრო დეტალურად, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ მათ ნახეს სამასკრედიტიანი მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, ახლად აკრედიტებული, რომელიც შეესაბამებოდა თანამედროვე სტანდარტებს. ექსპერტებმა გადახედეს სხვა საგანმანათლებლო პროგრამებსაც, სადაც ნახეს, რომ ყველა მათგანში სწავლის შედეგების მექანიზმები გაზომვადი არ იყო, შესაბამისად, გასცეს რეკომენდაცია, რომ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი ყოფილიყო შემუშავებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით და მომხდარიყო მისი ისეთი ფორმულირება, რომ ყოფილიყო გაზომვადი.

სხდომის თავმჯდომარემ ასევე, სთხოვა ექსპერტებს უფრო დეტალურად ესაუბრათ აკადემიური პერსონალის დატვირთვისთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციაზე, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ აკადემიური პერსონალის მუშაობის სისტემა არ იყო გამჭვირვალედ ასახული და რეკომენდირებული იყო მათი საათებში გაზომვა, მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო საათების გაზომვა ძალიან რთული იყო.

საბჭოს წევრი, ნინო ინასარიძე დაინტერესდა რატომ აისახა დასკვნაში მეექვსე სტანდარტის პირველი კომპონენტი სრულ შესაბამისობაში, ხოლო მეორე კომპონენტი ნაწილობრივში. პასუხად ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებისთვის პრიორიტეტული იყო, როგორც ინტერნაციონალიზაცია, ასევე კვლევის განვითარებაც, შესაბამისად, მნიშვნელოვანი იყო ინსტიტუციაში ყოფილიყო სტრუქტურული ერთეული თავისი გაწერილი ფუნქციებით, სადაც ჩამოყალიბებული იქნებოდა კვლევითი კომპონენტების შეფასების პროცესი და ეს ინტეგრირებული ყოფილიყო ერთ ორგანიზმში. ექსპერტის დაამატა, რომ იგივეს თქმა შეიძლებოდა ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით, ის საჭიროებდა ერთიანობაში

მოყვანას, ერთ-ერთი მიზეზი კომპონენტის ნაწილობრივ შეფასების იყო ის, რომ აუცილებელი იყო ამ ყველაფრის ერთ ფორმატში მოყვანა. რაც შეეხებოდა კვლევით საქმიანობას, იმისათვის რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო მისი ფუნქციონირება, საჭირო იყო კარგად ორგანიზებული კვლევითი ორგანიზმების არსებობა, მხარდაჭერის მექანიზმებიდან დაწყებული, მკვლევარების მომზადებისთვის საჭირო არსებული რესურსით დამთავრებული, მათ შორის კავშირი იყო მნიშვნელოვანი. ექსპერტის განმარტებით, კვლევით აქტივობებში დაწესებულებას ჰქონდა როგორც დაგეგმილი, ისე მიმდინარე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები, თუმცა იმისათვის რომ ეს ყოფილიყო უფრო ეფექტური, საჭირო იყო ამ ორგანოების დაფუძნება და მხარდაჭერა.

ექსპერტმა დაამატა, რომ პერსონალის და დოქტორანტების ინგლისური ენის ცოდნის კომპეტენცია არ იყო შესაბამისი, იმისათვის რომ განხორციელებულიყო თანამედროვე კვლევები, შესაბამისად, შერჩევის კრიტერიუმების თამასა უნდა აწეულიყო ან უნდა მოხდეს მათი გადამზადება, გაცვლით პროგრამებში მათი ჩართვა ან სხვა გზებით ენის განვითარება კვლევითი პოტენციალის ასამაღლებლად.

სხდომის თავმჯდომარემ, ნუგზარ სხირტლაძემ სთხოვა მე-7 სტანდარტთან დაკავშირებით უფრო დეტალურად ესაუბრათ ექსპერტებს, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით ინსტიტუციას გადადგმული ჰქონდა ბევრი ნაბიჯი ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ, ასევე ჰქონდა კარგი გეგმები ახალქალაქის კორპუსთან დაკავშირებით, თუმცა ადაპტირებული ლიფტი ვიზიტის დროს არ არსებობდა, დაწყებული იყო პანდუს ლიფტის დამონტაჟების სამუშაოები, არ იყო საევაკუაციო გასასვლელები, იყო რკინის კარები, თუმცა ინფრასტრუქტურა გაუმჯობესებისკენ მიდიოდა.

საბჭოს წევრმა, ირაკლი კოხრიძემ აღნიშნა, რომ მას დასკვნის წაკითხვის დროს დარჩა შთაბეჭდილება, რომ ისინი რეკომენდაციას აძლევდნენ უსდ-ს, რომ შექმნილიყო ახალი ძალიან ბევრი სტრუქტურული ერთეული, მისი თქმით, უსდ ინარჩუნებდა საუკეთესო ტრადიციებს იმ რეგიონში, რომელიც იყო ქვეყნისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი და ამას ახორციელებს სტაბილურად კარგად, ის დაინტერესდა იყო თუ არა მიღწევადი ტერიტორიული განლაგების, ეთნიკური რეალიების გათვალისწინებით ამ სტრუქტურული ერთეულების დამატება და გაზრდა. ექსპერტმა საბჭოს წევრს უპასუხა, რომ მათ გასცეს სტრატეგიული განვითარების სტრუქტურული ერთეულის ცალკე გამოყოფის რეკომენდაცია, ინსტიტუციის განვითარებისთვის სჯობდა ცალკე ყოფილიყო ეს სტრუქტურული ერთეული. რაც შეეხება სტრატეგიული გეგმას ის შემუშავებული იყო, თუმცა ბიუჯეტში კონკრეტულად არ იყო გაწერილი წლების მიხედვით, კონკრეტული აქტივობისთვის რა თანხა იქნებოდა გამოყოფილი, უნივერსიტეტს ჰქონდა რესურსი, რომ მიეღწია სამიზნე ნიშნულებისთვის, შესაბამისად, მათი რეკომენდაცია იყო მისი დეტალიზება. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ უსდ-ს ჰქონდა პოტენციალი, მიეღწია სტრატეგიულ მიზნებს. ასევე, ექსპერტები შეხვდნენ დამსაქმებლებს, რეგიონში წამყვან ხელმძღვანელებს, მერიის, გუბერნიის წარმომადგენლებს, რომლებიც საუბრობდნენ უსდ -ს როლზე, წარმატებულ კურსდამთავრებულებზე, რომლებიც რეგიონში წამყვან პოზიციებზე არიან და უსდ -ს განვითარებისთვის მათი მხრიდან მხარდაჭერაზე, არსებობდა სახელმწიფო მხარდაჭერებიც.

დაწესებულების რექტორმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს განხორციელებული სამუშაოსათვის, რომელმაც მათ დაანახა ის თუ რა სიკეთე შეუძლია ავტორიზაციის პროცესმა მოუტანოს ინსტიტუციას. მან აღნიშნა, რომ მათთვის მნიშვნელოვანი იყო დაწესებულების როლი,

საგანმანათლებლო პროცესის სწორად წარმართვა და ყველა რეკომენდაცია, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა გასცა მათ იდენტიფიცირებული ჰქონდათ თვითშეფასებაში. მისი განმარტებით, მათი შესრულება გაწერილი იყო უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმაში, ზოგიერთი მათგანი კი 2019 წლის სამოქმედო გეგმაშიც იყო გაწერილი, ისინი ხედავდნენ რა გამოწვევის წინაშე იდგნენ და ცდილობდნენ, რომ ყოფილიყვნენ ადექვატურები მათი გადაწყვეტისას.

რაც შეეხებოდა კვლევასა და ინტერნაციონალიზაციას, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა სთხოვა საბჭოს ყურადღება გაემახვილებინათ დაწესებულების კვლევის დინამიკასა და პროგრესზე, ისინი არ საუბრობდნენ კვლევის ფართო სპექტრზე, მათი კვლევები ზუსტად იყო მისადაგებული რეგიონის საჭიროებებზე, საუბარი იყო გამოყენებით კვლევებზე: ქართველოლოგიის, ინტერდისციპლინურ და აგრარულ ეკონომიკურ კვლევებზე. უნივერსიტეტი სახელმწიფოსა და უცხოელი ფონდების ყურადღების ცენტრში ექცეოდა და ხორციელდებოდა ბევრი საპილოტე პროგრამა აგრარულ-ეკონომიკური და ბიოეკონომიკის მიმართულებით, მათი კვლევითი არეალი იყო შემოსაზღვრული. ასევე, მან დამატებით აღნიშნა, რომ 2014 წელს ჰქონდათ ასტრონომიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. დაწესებულებაში 1992 წლიდან არსებობდა ფიზიკა-ასტრონომიის ფაკულტეტი, რომელიც აფინანსებდა სტუდენტებს ობსერვატორიის სიახლოვიდან გამომდინარე, ობსერვატორიის პროფესორები მოქმედი მკვლევარები იყვნენ. ასევე აღნიშნა, რომ რაც შეეხებოდა ადამიანურ რესურსს, ამ მიმართულებით უნივერსიტეტმა გადაწყვიტა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, ადამიანური რესურსის მოძიებისათვის, პრობლემაც ახალი არ იყო უნივერსიტეტისათვის. დაწესებულებამ 1990 წლიდან დაიწყო მუშაობა საკუთარი კადრების გამოზრდის კუთხით. ისინი აცნობიერებდნენ იმასაც, რომ ორიენტირდნენ ახალგაზრდა პერსონალზე. დაწესებულებას ჰქონდა მექანიზმი ამ კუთხით, ეს იყო მიზნობრივი დოქტორანტურა.

დაწესებულების რექტორმა ასევე აღნიშნა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსაც სთხოვდნენ დოქტორანტურაში კადრების მომზადებას, რომლებიც შემდეგ ხელშეკრულებით დაბრუნდებოდნენ უნივერსიტეტში, რის სანაცვლოდაც გარკვეულ თანადაფინანსებას სთავაზობდნენ სადოქტორო პროგრამებზე. ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ყველა საგანმანათლებლო პროგრამაში გახსნილი იყო უფასო ინგლისური ენის კურსები ადმინისტრაციული, აკადემიური, მოწვეული პერსონალისთვის, სტუდენტებისთვის. თუ პერსონალი ვერ წაიკითხავდა ლექციებს ინგლისურ ენაზე, მათ ჰქონდათ სამეცნიერო ბაზებთან წვდომა, სადაც შეეძლოთ საკუთარ პროფესიაში სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მათ შეცვალეს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიღების კრიტერიუმები, ხოლო რაც შეეხებოდა ზოგადად საგანმანათლებლო პროგრამებს, 2018 წელს იყო აკრედიტებული 300 კრედიტიანი მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, ნელ- ნელა მკვიდრდებოდა სწავლის შედეგების შეფასება, 9 საგანმანათლებლო პროგრამა უკვე აკრედიტებული იყო, 10 კი უნდა წარმოედგინათ აკრედიტაციისთვის 2020 წელს და რჩებოდა მხოლოდ 5 საგანმანათლებლო პროგრამა, რომელსაც განაახლებდნენ კვალიფიკაციის ჩარჩოსთან შესაბამისად.

პერსონალის დატვირთვის სქემის მთავარ მიზანთან დაკავშირებით უნივერსიტეტის რექტორმა აღნიშნა, რომ სქემის მთავრი მიზანი იყო გაზომილიყო მხოლოდ სასწავლო დატვირთვა, შესაბამისად, მათ უზრუნველყვეს სასწავლო და სამეცნიერო დატვირთვის სქემა. მისივე თქმით, აკადემიური თავისუფლება გულისხმობდა იმას, რომ ისინი არ ავალებდნენ აკადემიურ პერსონალს რა უნდა გაეკეთებინათ, არამედ ჩამონათვალს სთავაზობდნენ.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მხოლოდ 1 წლის შედეგები ჰქონდათ ჯერ, სადაც უკვე არსებობდა ბევრი შენიშვნა აკადემიური პერსონალის მხრიდან. მაგალითად, საერთაშორისო კონფერენციებისა და რესპუბლიკური კონფერენციების გათანაბრება. მატერიალურ რესურს რაც შეეხება ეს უკავშირდებოდა ბიუჯეტს, 1 წლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილი იყო კონკრეტული აქტივობა და თანხა, მაგალითად, პანდუსისა და ლიფტისთვის - 100 000 ლარი. უსდ ვერ შეძლებდა 300 000 ლარის მოძიებას მოკლე დროში, მითუმეტეს, როდესაც 120 000 ლარი სჭირდებოდათ 10 საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზე შემოსატანად ცენტრში, თუმცა გეგმავდნენ მოეხდინათ კიდევ ერთი კორპუსის სრული ადაპტირება.

სხდომის თავმჯდომარემ, ნუგზარ სხირტლაძემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს მერაბ ბერიძეს ესაუბრა იმ პერსპექტივების შესახებ, რომელიც უნივერსიტეტს ჰქონდა. დაწესებულების წარმომადგენელმა, მერაბ ბერიძემ ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალად ყალიბდებოდა უსდ, მათთან ერთად, 8 ფილიალი გაიხსნა, რომელთაგან მხოლოდ ისინი დარჩნენ, შესაბამისად მათი მიზნები ეტაპობრივად რეალიზდებოდა, 1990 წელს მათთვის წარმოდგენილი იყო არტააშთან დღევანდელ არდაგანთან, ყარსთან, სომხეთთან, ინტერნაციონალიზაციის კუთხით საქმის მოგვარება, იმ დროისთვის მათ არ იცოდნენ ინგლისური ენა და თურქებთან ერთად გააკეთეს ორენოვანი სამეცნიერო ჟურნალები, რომლის 3 კრებული გამოიცა, რასაც წინ უსწრებდა სიმპოზიუმები, კონფერენციები და გეგმავდნენ ერთობლივ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას სომხეთის გიუმრის უნივერსიტეტთან. ასევე, მან აღნიშნა, რომ მათ ძირითადად ბალტიისპირეთის ქვეყნებთან ჰქონდათ პარტნიორული ურთიერთობა და ახლო მომავალში აპირებდნენ ამ კუთხით გაფართოებას. რკინის კარებს რაც შეეხება, ამ კარებით ადრე თავს იცავდნენ.

საბჭოს წევრი დავით ბოსტოლანაშვილი დაინტერესდა ერთწლიან და სამწლიან სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით დაეხუსტებინათ რას გულისხმობდნენ, რაზეც დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, როინ თათეშვილმა განმარტა, რომ ბიუჯეტი იყო სპეციფიკური ფორმა, სადაც ყველა დეტალი ვერ გაიწერებოდა, სადაც იყო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებისთვის არის შეტანილი შესაბამისი თანხა მაგალითად, 240 000 ლარი, რაც თავის მხრივ მოიაზრებს ლიფტების შეკეთებას, კომპიუტერების შეძენას ანუ ბიუჯეტს წინ უსწრებს აქტივობები, რომელიც შემდეგ აისახება ბიუჯეტში სხვადასხვა კლასიფიკატორის შესაბამისად, შესაბამისა, ბიუჯეტში ყველაფერი ასახული ვერ იქნებოდა, სამაგიეროდ ის აისახებოდა სამოქმედო გეგმაში, მაგალითად ლიფტების შეკეთებისთვის - 77 000 ლარი.

საბჭოს წევრმა ირაკლი კოხრეიძემ აღნიშნა, რომ მისი აზრით დაწესებულების მოქმედება იმ რეგიონში, რომელშიც იყვნენ და ზოგადად საგანმანათლებლო სივრცეში, მათი არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტთა შეფასებაზე და მათი საბჭოს სხდომაზე დასწრებისას გაცემული პასუხები იყო ძალიან სასიამოვნო და ძალიან გმირული და ფიქრობდა რომ ექსპერტთა შეფასებები იყო ზედმიწევნით თანხვედრაში სტანდარტებთან და მოთხოვნებთან, თუმცა ზედმეტად მკაცრი კონკრეტულად ამ დაწესებულებისთვის, რადგან თბილისშიც ვერ დაიკვეხნიდა ზოგიერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ადაპტირებული ლიფტების ქონით და ბუნებრივი იყო მათი ასეთი მდგომარეობა და შეუძლებელი იყო ას ათასი ლარის ღირებულების ლიფტებით ყველა შენობის აღჭურვა. რაც შეეხება განვითარებას, ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით განხორციელებული აქტივობები რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით თურქულენოვან და სომხურენოვან მოსახლეობასთან და

E. Iosif

დაწესებულებებთან დაახლოების თვალსაზრისით უკვე საუკეთესო მაგალითი იყო. საბჭოს წევრმა დაწესებულების წარმომადგენლებს უსურვა დიდი წარმატება.

საბჭოს წევრმა დავით ბოსტოლანაშვილმა აღნიშნა, რომ მათთვის სასიამოვნო იყო ექსპერტთა დასკვნისა და შემდეგ დაწესებულების პოზიციის მოსმენა. მისი თქმით, მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ უნივერსიტეტს თვითონ ჰქონდა იდენტიფიცირებული მისი პრობლემები, გაწერილი სამოქმედო გეგმაში, რეგიონული თვალსაზრისით ინსტიტუციის არსებობა მნიშვნელოვანი იყო, თუმცა საევაკუაციო გასასვლელებს შეიძლება ჰქონოდა სასიცოცხლო მნიშვნელობა სტუდენტებისათვის.

საბჭოს წევრმა ირმა ჭანტურიამ აღნიშნა, რომ მას საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ჰქონდა გაფორმებული მემორანდუმები, რომლის ფარგლებშიც ამზადებენ სტუდენტებს ღვინის ლაბორატორიაში და მათ უანგაროდ ემსახურებოდნენ. შესაბამისად, საბჭოს წევრმა შესთავაზა აგრარული მიმართულებით, ხარისხის გამკონტროლებელი კადრების მომზადება.

დაწესებულების რექტორმა აღნიშნა, რომ მათ აგრარული მიმართულებით, მცირე ვენახიც ჰქონდათ საუნივერსიტეტო სივრცეში, კადრების გადამზადება კი იქნება არაჩვეულებრივი შესაძლებლობა.

ექსპერტმა, ლელა იოსავამ ასევე დაამატა, რომ დაწესებულებაში მიმდინარეობდა მნიშვნელოვანი კვლევები ასტრონომიული, ნიადაგის, ქართველოლოგიის მიმართულებით, იყო ღვინის პოტენციალიც, აგროკულტურის მიმართულებით.

საბჭოს წევრმა, ნინო ინასარიძემ აღნიშნა, რომ ის შეუერთდებოდა საერთო პათოსს და დაწესებულებას შესთავაზა ქვეყნის შიგნით გაცვლითი პროგრამები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების მონაწილეობით.

ცენტრის წარმომადგენელმა ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ამჟამად მოქმედებდა ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, რომელმაც აკრედიტაცია გაიარა უნივერსიტეტის მიერ ცენტრში საავტორიზაციო განაცხადის წარმოდგენისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდგომ. ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 13 დეკემბრის №241-ე გადაწყვეტილებით. აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2019 წლის 19 დეკემბრიდან. შესაბამისად, აღნიშნული პროგრამა ვერ მოხვდა ვერც უნივერსიტეტის თვითშეფასებაში და ვერც ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, თუმცა დაწესებულებას აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 13 დეკემბრის №241-ე გადაწყვეტილებით ჰქონდა უფლებამოსილება განეხორციელებინა ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს საბჭოს წევრებმა და აღნიშნეს, რომ დაწესებულებას, აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად ჰქონდა უფლება განეხორციელებინა ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა სხდომაზე დამსწრე პირებს თუ ჰქონდა ვინმეს დამატებითი კითხვა ან კომენტარი. ვინაიდან კითხვა და კომენტარი აღარავის ჰქონდა, თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება.

წ. ლომიძე

საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა: 18:58 საათზე.
საბჭოს სხდომა განახლდა: 19:03 საათზე.

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2 400-ით (მათ შორის ქ. ახალციხეში 2 100 ადგილი და ქ. ახალქალაქში 300 ადგილი) განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56² მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56³ მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2020 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 424066977) მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2 400-ით (მათ შორის ქ. ახალციხეში - 2 100 ადგილი და ქ. ახალქალაქში - 300 ადგილი). დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განესაზღვროს 1 წელი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 19:08 საათზე.

თავჯდომარე
ნუგზარ სხირტლაძე

მდივანი
თამარ ლალიძე

ნ. სხირტლაძე
თ. ლალიძე